“სახვითი ხელოვნების” („სახვითი ხელოვნება“, „ფერწერა“, „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება“ და „ქანდაკება“) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N7

თბილისი, 18 ივლისი, 2022

“სახვითი ხელოვნების” („სახვითი ხელოვნება“, „ფერწერა“, „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება“ და „ქანდაკება“) (შემდგომში - სახვითი ხელოვნება) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ლევან სილაგაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სახვითი ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხელოვნების მიმართულების კოორდინატორი, ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სახვითი ხელოვნების კათედრის გამგე, Mondial Art Academia-ს წევრი და ელჩი საქართველოში, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **თამარ ნინიკაშვილი** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ხატვისა და ფერწერის პედაგოგი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ვლადიმერ ასათიანი** - ფილოსოფიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის სახევითი ხელოვნების კათედრის ასისტენტ-პროფესორი; ვუზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, **საბჭოს წევრი;**
4. **მეგი წითლიძე** - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, სახვითი

ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **საბჭოს წევრი;**

5. **თამარ ცაგარელი** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის კონსულტანტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროგრამების ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**
6. **ირინა პოპიაშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების არქიტექტურის და დიზაინის სკოლის დეკანი, **საბჭოს წევრი;**
7. **ვანდა მუჯირი** - გალერეა „ვანდას“ დამფუძნებელი და დირექტორი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, **საბჭოს წევრი.**

დაინტერესებული მხარეები:

მარიამ მოქია - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;

რატი ჩიბურდანიძე - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ აჭარის მუზეუმი/ხელოვნების მუზეუმი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

ქეთევან ფანჩულიძე - კვალიფიკაცების განვითარების სამასხურის უფროსი;

სოფიკო გაფრინდაშვილი - კვალიფიკაცების განვითარების სამსახურის სპეციალისტი;

ხატია ბერიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:30 საათზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი სოფიკო გაფრინდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, დაეწყო შეხვედრა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან სილაგაძემ წარადგინა დღის წესრიგი: სახვითი ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ არსებული კომენტარების მოსმენა და კენჭისყრა პროექტის დასამტკიცებლად დადებითი რეკომენდაციის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს:

- სოფიკო გაფრინდაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს, თუ ჰქონდათ რაიმე კომენტარი/შენიშვნა/რეკომენდაცია სახვითი ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის შესახებ, წარმოედგინათ;

დაადგინეს:

- დაინტერესებულ მხარეებსა და საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ არანაირი შენიშვნა სახვითი ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის

პროექტის შესახებ. მათთვის, ყველასთვის მისაღები იყო დოკუმენტის მიმდინარე ვერსია.

მოისმინეს:

- სოფიკო გაფრინდაშვილმა, ცენტრის სახელით, მადლობა გადაუხადა სახვითი ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივ საბჭოს მნიშვნელოვან პროცესში ჩართულობისთვის, სასიამოვნო მუშაობისათვის და წარმატებები უსურვა;
- თამარ ცაგარელმა მადლობა გადაუხადა ცენტრს და მის წარმომადგენლებს პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის და აღნიშნა ის კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც მუდმივად ჰქონდათ მუშაობის პროცესში. მან, ასევე, მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს, ლევან სილაგაძეს, თავმჯდომარეობისათვის და სამუშაო პროცესის წარტამებულად წარმართვისათვის. მადლობა გადაუხადა საბჭოს ყველა წევრს ჩართულობისათვის;
- საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან სილაგაძემ შეაჯამა სამუშაო პროცესი და მადლობა გადაუხადა ცენტრს გაწეული მხარდაჭერისათვის, რეკომენდაციებისა და პროცესის გამართულად წარმართვისათვის. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს ყველა წევრს და აღნიშნა, რომ ყველა ჩართული პირის როლი ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი იყო;
- ქეთევან ფანჩულიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის, ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ საბჭოს თითოეული წვერი ემსახურებოდა დარგის განვითარებას.

დაადგინეს:

- საბჭომ კენჭი უყარა და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაადგინა, რომ მიეცეს დადებითი რეკომენდაცია სახვითი ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტს დამტკიცების თაობაზე; დოკუმენტი ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად და **ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.**

საჯარო განხილვის სხდომა დასრულდა 16:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

ლევან სილაგაძე



საბჭოს მდივანი:

თამარ ნინიკაშვილი

დანართი N1

“სახვითი ხელოვნების” („სახვითი ხელოვნება“, „ფერწერა“, „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება“ და „ქანდაკება“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2022 წელი

I. შესავალი

“სახვითი ხელოვნების“ („სახვითი ხელოვნება“, „ფერწერა“, „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება“ და „ქანდაკება“) (შემდგომში - სახვითი ხელოვნება) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა - The Subject Benchmark Statement of „Fine Arts“ (“Fine Art”, „Painting“, „Graphic Art“ and “Sculpture“) წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც შემდეგი სფეროების - სახვითი ხელოვნების, ფერწერის, გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების და ქანდაკების უმაღლესი განათლების I საფეხურის (საბაკალავრო) და II საფეხურის (სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს სწავლის მინიმალურ შედეგებს, რომლებიც აუცილებელია კვალიფიკაციის მისანიჭებლად; მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებსა და სხვა არსებით მახასიათებლებს. წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახვითი ხელოვნების, ფერწერის, გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების და ქანდაკების (შემდგომში “სახვითი ხელოვნების”) კომპეტენციები პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, დარგობრივი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები/მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ამასთან, სახვითი ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები

განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელიც დაინტერესებულია იმ დარგით ან დარგებით, რომელსაც/რომლებსაც სახვითი ხელოვნება მოიცავს;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სახვითი ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ;
- იმ პირებისთვის, რომლებიც სახვითი ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების და მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებასა და განხილვაში მონაწილეობენ;
- დამსაქმებლისთვის, რომელსაც სურს სახვითი ხელოვნების საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.
- აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესში ჩართული პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და მონიტორინგში.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

II. სწავლის სფეროს აღწერა

სახვით ხელოვნებაში შემავალი სფეროები — სახვითი ხელოვნება, ფერწერა,

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება და ქანდაკება — ემსახურება ვიზუალური და მატერიალური კულტურის ნამუშევრების შექმნას, რომელთა ფუნქციური პოტენციალი ძალზე მრავალგვარია და მოიცავს როგორც ინტელექტუალურსა და ესთეტიკურ ჭვრეტასა და შეფასებას, ისე სხვადასხვა პრაქტიკულ-შემოქმედებითი ამოცანების შესრულებას. სახვითი ხელოვნების განუყოფელი კომპონენტებია წარმოსახვა, შემოქმედებითობა და ინოვაციურობა.

სახვით ხელოვნებაში შემოქმედებითი პროცესი მოიცავს რამდენიმე საფეხურს იდეის/კონცეფციის შემუშავებიდან კონკრეტული პროდუქტის შესრულებამდე, შესაბამისი სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ვიზუალური ენის, მასალებისა და ტექნიკების გამოყენებით. კომპოზიციური გადაწყვეტის და მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების ერთიანობა ქმნის სახვითი ხელოვნებისთვის აუცილებელ შემოქმედებით, საავტორო და საშემსრულებლო ფორმატს. ამავე დროს, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის ჩამოყალიბებისთვის ხელოვნების სფეროს თანამედროვე სტანდარტებისა და დასაქმების ბაზრის გათვალისწინებით მოითხოვება დარგობრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების სინთეზი.

სახვით ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თავისუფალი და შემოქმედებითი პროფესიის სპეციალისტის თვითდასაქმებას დამოუკიდებელი ხელოვანის რანგში. ამის გათვალისწინებით, სახვითი ხელოვნების დარგის საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება იყოს ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური, რაც დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მისიაზე, არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე, შესაბამისი დაწესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის ტრადიციასა და განვითარების სამომავლო ხედვაზე, არსებულ და/ან დაგეგმილ საერთაშორისო თანამშრომლობაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებზე.

სახვითი ხელოვნების სფეროებში საბაკალავრო და სამაგისტრო განათლების მიზანია, მისცეს სტუდენტს შესაბამისი დარგობრივი ცოდნა, განუვითაროს მას შემოქმედებითი პრაქტიკისთვის საჭირო პიროვნული თვისებები და უნარები, რაც უწყვეტი ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების და პროფესიული საქმიანობის საფუძველია.

III. სწავლის შედეგები

წინამდებარე სტანდარტში აღწერილია სწავლის მინიმალური შედეგები, რომლებსაც უნდა მიაღწიონ სახვითი ხელოვნების დარგების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებმა. სწავლის შედეგების ფორმულირება ასახავს მინიმალურ სავალდებულო სტანდარტს; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოდიფიკაცია და ინტერპრეტაცია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული დისციპლინების, პროგრამის მიზნების, სასწავლო დაწესებულების მისიისა და კონტექსტის გათვალისწინებით. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე.

სახვითი ხელოვნების სფეროებში ცოდნა-გაცნობიერება და უნარები დაფუძნებულია ისეთ საბაზისო დისციპლინებზე როგორიცაა ხატვა, ფერწერა, ძერწვა, კომპოზიცია და სხვა. ამასთან ერთად, დაკავშირებულია თანამედროვე ხელოვნების ინოვაციურ ხასიათთან და ითვალისწინებს აქტუალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებს. მნიშვნელოვანია, რომ სახვითი ხელოვნების დარგებში მინიჭებული საბაკალავრო ან სამაგისტრო ხარისხის მქონე პირს ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკური ცოდნა და

პრაქტიკული უნარები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კურსდამთავრებულის ცოდნა-გაცნობიერება და უნარები უწინარესად წარმოჩნდება მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებში.

3.1. ბაკალავრიატის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული ფლობს ფართო ცოდნას სახვითი ხელოვნების სფეროს ზოგადი პრინციპებისა და გამომხატველობითი შესაძლებლობების შესახებ, რაც წარმოჩნდება შემდეგში - **კურსდამთავრებული:**

- ავლენს ფართო ცოდნას კონკრეტულ სახელოვნებო დარგებთან დაკავშირებული მეთოდების, ტექნიკების, ტექნოლოგიების, მასალებისა და ხელსაწყოების შესახებ;
- ავლენს დარგობრივი ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ცოდნას;
- უკავშირებს ერთმანეთს თავისი ჩანაფიქრის შინაარსს, კონტექსტს და მასალაზე მუშაობის ტექნიკებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

- ავითარებს მხატვრულ ჩანაფიქრს წინასწარ მიცემული დავალების შესასრულებლად და იყენებს კონკრეტულ სახელოვნებო დარგებთან დაკავშირებულ მეთოდებს, ტექნიკებს, ტექნოლოგიებს, მასალებსა და ხელსაწყოებს;

- მოიძიებს ვიზუალურ ინფორმაციას/მასალას თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და მისი ანალიზის შედეგებს იყენებს თავისი ნამუშევრის შექმნისას;
- წყვეტს კომპოზიციურ ამოცანას ვიზუალური და მატერიალური ფორმების გამოყენებით;
- ახორციელებს შემოქმედებითი ხასიათის პროექტს (ნამუშევარს);
- წარუდგენს თავის ჩანაფიქრსა და ნამუშევარს საზოგადოებას და იყენებს ამისთვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ასრულებს სამუშაოს და მუშაობის პროცესში ავლენს დროისა და შრომის ორგანიზების უნარს;
- აფასებს თავის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული ფლობს ღრმა, სისტემურ ცოდნას სახვითი ხელოვნების სფეროს ზოგიერთი უახლესი პრინციპისა და გამომხატველობითი შესაძლებლობის შესახებ, მაღალი შემოქმედებითი სტანდარტებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

კურსდამთავრებული:

- ავლენს დეტალურ ცოდნას კონკრეტულ სახელოვნებო დარგებთან დაკავშირებული მასალების, ტექნოლოგიებისა და ტექნიკების შესახებ;
- ავლენს სისტემურ ცოდნას თანამედროვე სახელოვნებო ტექნოლოგიების განვითარების შესახებ;
- ავითარებს ახალ იდეებსა და კონცეფციებს დამოუკიდებლად ან ჯგუფურად;
- განიხილავს თანამედროვე ხელოვნების პრობლემებს და ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა წყაროდან დამოუკიდებლად მოიძიებს და აანალიზებს აქტუალურ თეორიულსა და ვიზუალურ ინფორმაციას ნამუშევრის შესასრულებლად;
- შემოქმედებითად წყვეტს სხვადასხვა ჟანრთან, სტილთან, თემასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ მხატვრულ ამოცანებს;
- ახდენს ახალი იდეების გენერირებას ორიგინალური შემოქმედებითი და კვლევითი პროექტის შესაქმნელად;
- წარადგენს თავის ნამუშევარს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების როლს და იცავს ეთიკურ პრინციპებსა და ღირებულებებს თავის სახელოვნებო საქმიანობაში;
- შემოქმედებით პროცესში იჩენს კრიტიკულ დამოკიდებულებას თავისი და სხვების ნამუშევრის მიმართ;
- დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი განვითარების საჭიროებას და წვლილი შეაქვს სხვათა პროფესიული/ შემოქმედებითი განვითარების პროცესში.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სახვითი ხელოვნების სფეროების სწავლებისთვის, სწავლისა და შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედებით/სტუდიურ მუშაობას. სახვითი ხელოვნების სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართება შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოში (შესაბამისი სახელოვნებო ინვენტარით აღჭურვილი სახელოსნო, ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდია), რომელშიც ხელმისაწვდომია კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელი (მათ შორის, ციფრული) ტექნიკური ინფრასტრუქტურა და რესურსები. ამგვარი გარემო უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ როგორც ტექნიკური უნარ-ჩვევების ათვისებას, ისე დარგობრივი თეორიული ცოდნის მიღებასა და იმ კონტექსტის გაცნობიერებას, რომელშიც შემოქმედი პრაქტიკოსები მუშაობენ. ეფექტური სასწავლო გარემო ხელს უწყობს სწავლებასა და სწავლას როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ფორმატში, რომლის ფარგლებშიც პედაგოგს და სტუდენტს შორის ყალიბდება პარტნიორული თანამშრომლობა.

სახვით ხელოვნებაში შემავალი სფეროების — სახვითი ხელოვნება, ფერწერა, გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება და ქანდაკება — სწავლების უმეტესი ნაწილი ეთმობა

მხატვრული აზროვნების განვითარებას, იდეის ვიზუალიზაციის მეთოდებს, შემოქმედებითი ამოცანების ძიებასა და გადაწყვეტას, საშემსრულებლო ოსტატობის განვითარებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მხატვრული ღირებულებებისა და გემოვნების ფორმირებას, ინდივიდუალური (საავტორო) ხედვის ჩამოყალიბებას როგორც ტრადიციული, ასევე თანამდროვე/ინოვაციური ტექნოლოგიების, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით.

სახვითი ხელოვნების სწავლება ხორციელდება მოცემულობათა თანმიმდევრული გართულების პრინციპით, როგორც ცალკეული კურსის, ისე მთლიანი პროგრამის ფარგლებში. სწავლის საწყის ეტაპზე, სტუდენტი, უმეტესად პედაგოგის ხელმძღვანელობით, ასრულებს დავალებებს/ნამუშევრებს, მომდევნო ეტაპებზე კი იზრდება სტუდენტის პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის ხვედრითი წილი მის მიერ განხორციელებულ შემოქმედებით პროექტებზე. ამისთვის პროგრამაში შეიძლება გამოიყოფოდეს კურსების ბლოკები, რომლებშიც კურსების თანმიმდევრობა საფეხურებრივია და წინაპირობათა სისტემით რეგულირდება.

სახვითი ხელოვნების სფეროებში სწავლების, სწავლისა და შეფასების მნიშვნელოვანი პედაგოგიური პრაქტიკაა ნამუშევრების ჩვენება პედაგოგებისთვის და თანაჯგუფელებისთვის, რაც ხორციელდება შუალედური და დამამთავრებელი გამოფენების სახით (მათ შორის, ციფრული პლატფორმების გამოყენებითაც). ეს სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გააცნონ თავიანთი ნამუშევარი ფართო აუდიტორიას და ჩაერთონ საჯარო განხილვა-შეფასებაში. სტუდენტის მიერ შესრულებული ნამუშევრების შეფასებისას, შეიძლება როგორც განმავითარებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების კომპონენტების გამოყენება. მათ შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ზეპირი უკუკავშირი, რომელიც მოიცავს მკაფიო მითითებებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.

ქვემოთ წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები და შეფასების კომპონენტები სარეკომენდაციო ხასიათისაა და შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვადასხვა

საგანმანათლებლო პროგრამაში მისი მიზნებისა და შინაარსის შესაბამისად.

4.1. სწავლა-სწავლების მეთოდები / ფორმატები:

- სტუდიური სწავლება;
- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ინდივიდუალური მუშაობა;
- გუნდური მუშაობა;
- დემონსტრაცია;
- პროექტი / პროექტზე დაფუძნებული სწავლა;
- პრეზენტაცია;
- დისკუსია;
- ზეპირი უკუკავშირი;

და სხვა.

4.2. შეფასების მეთოდები:

- დავალება;
- გამოფენა;
- პროექტი (გუნდური ან ინდივიდუალური);
- პრეზენტაცია;
- პორტფოლიო;

და სხვა.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

სახვითი ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია, უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

5.2. მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა

სახვითი ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უსდ-ში უნდა არსებობდეს შესაბამისი სფეროსთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ლევან სილაგაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სახვითი ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო

			პროგრამის ხელმძღვანელი, ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სახვითი ხელოვნების კათედრის გამგე, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.
2	თამარ ნინიკაშვილი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ხატვისა და ფერწერის პედაგოგი.
3	თამარ ცაგარელი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის კონსულტანტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროგრამების ხელმძღვანელი.
4	მეგი წითლიძე	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
5	ვლადიმერ ასათიანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

			უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების კათედრის ასისტენტ-პროფესორი. ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
6	ვანდა მუჯირი	გალერეა „ვანდა“	გალერეა „ვანდას“ დამფუძნებელი და დირექტორი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი.
7	ნოდარ კვირკველია	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
8	დავით ალექსიძე	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი.
9	ირინა პოპიაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების არქიტექტურის და დიზაინის სკოლის დეკანი.

10	რუსუდან მერაბიშვილი	სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ეროვნული გალერეის და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეის და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო - საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი ასისტენტი.